

5781
1986/2

ՀԵՐԱՅԵԱՆ
ՆՈՒՅՆՈՒԹՅԱՆ
ՄԱՍԻՆԵՐԵՆԵՐԻ
ՄԱՍԻՆԵՐԵՆԵՐԻ



1986 ՌԵՍՊԱԲԼԻԿԱՆ ԸՆԴՀԱՆՈՒՄ 10

ՀԱՅԿԱՆ



ასალბაღელები სიმღერა



ჩვენი ბაღი,
 ჩვენი ბაღი
 ლამაზი და ახალია.
 გველოდებო, წამო, ჩქარა,
 მზია,
 გელა,
 ბანჭა,
 ღია!

აქ ვისწავლით ახალ თამაშს,
 სიმღერებს და მადლა ფრენას.
 აქ ვისწავლით, როგორ უნდა
 შევიფაროთ დედაგანა.
 აქ ვისწავლით, როგორ უნდა
 დაგვეფოთ ცოდნის წყაროს.
 აქ ვისწავლით, ერთმანეთიც
 როგორ უნდა შევიფაროთ.
 გამარჯობა,
 ლელა,
 ლადო,
 ბანჭა,
 ღია,
 გელა,
 მზია!

გვიხარია, — ჩვენი ბაღი
 ახალი და ლამაზია.



თანხი ზუაჩიძე

ყველა ზრუნავს

თეგას წიგნი

კითხვას რომ ვისწავლი

ჯერ წერა-კითხვა არ ვიცი.
ვიცი, რომ ჩვენს ენას ჰქვია დედაენა.
მაჩვენებს და წამიკითხვს:
ა-ი ი-ა.

მე უფრო სურათები მაინტერესებს.

უსურათო წიგნი არ მინდა!

მინდა სურათებიანი წიგნი!

ძიებო და დეიდებო! გამოუშვით სურათე-
ბიანი წიგნები! ბევრი, ბევრი, ყველას რომ
ჰქონდეს!

კითხვას რომ ვისწავლი, ყველა სურათე-
ბიან წიგნს წავიკითხავ!

მე ვარ თეგა და მინდა სურათებიანი წიგ-
ნები!

სად ვცხოვრობ

მე ვცხოვრობ თბილისში.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

რა არის დედაქალაქი? — ყველაზე მთავარ-
ი ქალაქი. ჩემთვის ყველაზე მთავარი ხომ
დედაა. ამიტომ არის თბილისი დედაქალაქი.

ნეტა რომელია მამაქალაქი?

რას ნიშნავს, ზრუნავს?
დედამ თქვა, რომ ბებო ოჯახზე ზრუნავს.
ბებო თურმე ჩემზეც ზრუნავს.
დელით მაცმევს. ეს ნიშნავს, ზრუნავს. შე-
მდეგ მაცმევს. ეს ნიშნავს, ზრუნავს. შემდეგ
ბაღში გავყავარ სასეირნოდ. ეს ნიშნავს,
ზრუნავს. თუ ქარია ან წვიმა, თბილად მაც-
მევს. თუ დავიღალე, ხელში ამიყვანს. ესეც
ნიშნავს, ზრუნავს.

დედაც ჩემზე ზრუნავს.

მამაც ჩემზე ზრუნავს.

ბაბუაც ჩემზე ზრუნავს.

კარგია, რომ ყველა ჩემზე ზრუნავს.

მეც ხომ უნდა ვიზრუნო?

ჩემზეც ხომ უნდა თქვან:

— თეგა კარგი ბიჭია, ის ყველაზე ზრუ-
ნავს!

დავიწყე:

დედა ჩაის ისხამს.

— დედა, შეაჩარი ჩაყარე და მოურეი, არ
დაგავინწყვდეს!

ბებო სადღაც მიდის.

— ბებო, პალტო ჩაიცვი, არ გაცვივდე!

გაზეთები მოიტანეს.

— ბაბუ, გაზეთი წაიკითხე!

მამამ ვაშლები მომიტანა.

— მამიკო, ერთი ვაშლი შენ შეჭამე!

მე ყველაზე ვზრუნავ.

კარგი სიტყვაა „ზრუნავს“.

ს. ასრ. ბ. მკ...
საბ. ...
...
...
...
...



ნიგნი ლაპარაკობს, როცა კითხულობენ.
 მე ჯერ კითხვა არ ვიცი.
 ტელევიზორი თავისით ლაპარაკობს. ოლ-
 დნდ უნდა ჩართო.
 რადიოც თავისით ლაპარაკობს.
 ტელეფონიც ლაპარაკობს. თუ ლაპარაკი
 მოუნდა, ზარს ანკრიალებს.
 მაგიდა, სკამი და კარადა არასოდეს არ
 ლაპარაკობენ.
 ჩემი ველოსიპედი ჭრიალებს. ეს ალბათ
 მისი ლაპარაკია.
 წყალი ჩხრიალებს.
 ჩაიდანნი შიშინებს.
 კნუტი კნავის.
 ძაღლი ყფვს.
 შუქი ანათებს და არ ლაპარაკობს.
 წვიმა წვიმს.
 ქარი ქრის.
 ხე შრიალებს.
 ჩვენი სახლი არ ლაპარაკობს. არც სხვა
 სახლები ლაპარაკობენ.
 მზე არაფერს ამბობს, მხოლოდ მაცხუნებს.
 იქნებ ეს მისი ლაპარაკია?
 ბუზი ბუზის.
 მინა ზრიალებს.
 ზოგი ლაპარაკობს, ზოგი — არა.
 რატომ?
 რა იქნებოდა, ყველას რომ ლაპარაკი შე-
 ეძლოს?

ცხოველების შვილებს თურმე სხვადასხვა
 სახელი ჰქვიათ.
 ძროხის შვილს ჰქვია ხზო.
 ერთხელ ქალაქგარეთ ყოფნისას, დავინა-
 ხეთ ორი ცხენი — დიდი და პატარა.
 პატარა დიდის შვილი იყო. მას ერქვა კვი-
 ცი.
 ღორის შვილი გოჭია.
 ქათამი ფრინველია. ქათმის შვილს წინილა
 ჰქვია.
 მერცხალიც ფრინველია და ბელურაც. მათ
 შვილებს ჰქვია ბარტყები.
 ჭუკი ინდაურის შვილი ყოფილა.
 არ ვიცი, კუს შვილს რა ჰქვია. ვისაც ვკი-
 თხებ, არავინ იცის.
 ზოოპარკში რომ აქლემია, მის შვილს კო-
 ზაკი რქმევია.
 კატის შვილს ჰქვია კნუტი.
 ძაღლის შვილს — ლეკვი.
 ლომის შვილსაც ლეკვი ჰქვია, ზოგი ამ-
 ბობს — ბოკვერიო, მაგრამ ბოკვერი ხომ
 ვეფხვის შვილია!
 რა ჰქვია სპილოს შვილს? არ ვიცი.
 რა ჰქვია ბუზის შვილს? არ ვიცი.
 ვისი შვილია თიკანი?
 გამახსენდა. კურდღლის შვილს ჰქვია ბა-
 ჭია!
 მაინც რა ჰქვია კუს შვილს?
 გივი ბიძიამ მითხრა — კუსკუსაო.
 არ ვიცი, მეხუმრა თუ მართლა ასეა.



ზოთა სოღაზნალი

უაქოღოკა

შემოიპარა სიცივე,
 შემოვეჩვია სუსნი...
 სახლი ჯაგნებით აივსო,
 სხვენი კი—სილის სუნთქვით...
 პაპამ ჩაწურა ეურმენი,
 ქვევრებში ბორკავს ტკბილი,
 შეშას ჩესხვენ ბიჭები
 ეოველ სუსსიან დილით...
 ჩირი და ტულაპი ბებიამ
 დააბინავა სადღაც.
 ჩურჩხულუები და გოგრები
 აივანზეა ახლაც...
 წითელ-ყვითელი ფოთოლი
 ჩამოსავარდნად ფრთებს შლის
 და შემოდგომა იპუღებს
 სახლში, მარანში, სხვენში.

მხატვარი ლალი ლომთაძე



პირობი მხატვარი

ფუტკარი და ბელი

ფუტკარმა უთხრა დათვის ბელს:
 უნდა ძალიან გაფრთხილდე,
 ნუ ხარ ბეცი და გუგულო,
 ნუ ანგრევ წაბლის ფულუროს,
 ტუვილად ხომ არ ვირჯებით,
 თაფლით სავსე კვანძებს ფიჭვები.



ირინეს ბასაჭირი

მეზობლად ერთი კარგი გოგონა მყავს, ირინე ჰქვია. ჯერ სულ ერთი ციციქნაა, ეს-ეს არის შვიდი წელი შეუსრულდა, მაგრამ წესრიგიაონობა და სიფაქიზეში დიდებს არ ჩამორჩება. თავისი თოჯინები, სათამაშოები და სასწავლო ნივთები ისე აქვს მოვლილი და დანაწინდელ-დაკრიალებული, რომ მათს ნახვას არაფერი სჯობს. ასევე უვლის და უფროსნილდება „დედაენას“, დიურს და საშინაო დავალების რვეულებსაც. სახლშიც ბეჯითად ტრიალებს ირინე. დაბრუნდება თუ არა სკოლიდან, მაშინვე სამზარეულოს მიაღვ-მოაღაგებს, მერე სააბაზანოში შეიხედავს, მოათვალიერებს ყველა კუთხე-კუნჭულს, მოჩხრეკს, მოსიწვავს, ტარაკანა არსად ქაჭანებდეგსო. ამის შემდეგ მიუჯდება სადილს.

ტარაკანებს ირინე თვალის დასანახად ვერ იტანს, მაგრამ მათ გარდა სახლში ბუზები და ობობებიც იყრიან თავს. დიდდა ბუზების ბზუილს იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევს — უმეტესწილად ან ტახტზე მიწოლილი თვლებს, ან სათვალე უკეთია და ნიგნს კითხულობს.

მაგრამ ბუზი ბუზია, შემოფრინდება, გაფრინდება. აი, ობობები კი სულ სხვაა. ისე არ გაიცოცდებიან ქერსა და კედლებზე, რომ ზედ თავიანთი უხილავი ძაფიც არ გაჭიმონ. საო-

ცარია, როგორ ასწრებენ ასე უცბად ქსოვას გაბმას, ამდენი ძაფი საიდან მოაქვთ. წუთის წინ რომ არაფერი იყოს, მეორე წუთს ნუკვლიდან კედლამდე მთელი ბადეა მოქსოვილი. გაივლი და ან თავს გაყოფ შიგ, ან სახეზე წამოგადება. ერთი სიტყვით, ობობები არიან რაც არიან და ირინესაც ყველაზე მეტად ობობები სძულს, ცოცხმომარჯვებული დარბის ოთახებში, დასტის სკამიდან სკამზე, მაგიდიდან მაგიდაზე, წმენდს კედლებს, ქერს; მონახევტ ობობებს და აბლაბუდებს აქანდაზე შემოყრის და სანაგვე მიღში ჩაუძახებს.

როცა მათი დევნით გაბებრდება, დიდდას ეკითხება:

— რა ვქნა, დიდდა, შა? რა მოვუხერხო ამ წყეულებს, ამ მართლაც ბაბაჭუებს, რით მოვსაო?

დიდდა პენსიონერი პედაგოგია, სპეციალობით ბიოლოგი, და ცოცხალ არსებათა ზენახსიათი კარგად იცის. მაგრამ ირინეს კითხვაზე საეჭვოდ ილიმება და გაურკვეველ, ორჭოფულ პასუხს აძლევს:

— ყველაფერს რალაც მიზეზი აქვს, შვილო. შემთხვევით არაფერი არ ხდება, დააკვირდი, იქნებ მიხვდე. სცადე.

ირინე ცდას უთქმელადაც არ აკლებს, ბევრგვარადაც სცადა, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. ჩამოგვის ყველა კუთხე-კუნჭულს, ყველა ღრიჭოს, დგამა-აეფეს, მაგრამ გავა ორი-სამი დღე და სახლი კვლავ ობობებითა და აბლაბუდებით გაივსება. შენუხდა გოგო, განამდა, გაიტანჯა.



შახტავარი თამაზ სუნიუხილი



— ჯანდაბა, თქვენ! ჯანდაბა და არგადა-
რჩენა! — მიანყველა ბოლოს ობობებს და
რაკი მათთან ვერაფერს გახდა, მთელი ჯავ-
რი და ბოღმა ბუზებზე გადაიტანა — დაავ-
ლო ხელი პირსახოცს, დაალო ფანჯრები,
ჩამოუარა ოთახებს პირსახოცის ფრიალით
და ბუზებს სულ მიფშიყვლა აუტეხა. მეორე
დღეს დედას ბუზების სახოცი სატყეპელაც
აყიდვინა და ახლა იმით მისდგა. გაჩნდებო-
და თუ არა ბუზი სადმე — ფანჯრის რაფაზე,
კედელზე, მაგიდაზე, — ტყაპ! — და უკვე
მკედარი ეგდო ძირს. ბუზები თითქოს მიხვ-
დნენ, რომ სახლში ფაქიზი დიასახლისი
ტრიალებდა და იქ აღარ ედგომებოდათ, თან-
დათან უკლეს შემოფერნას და ბოლოს სუ-
ლაც ამოიკვეთეს ფეხი.

აჰა, ეგვეც თქვენ! ობობებს თუ ვერაფერი
დააკლო, ბუზებს ხომ მოერია ირინე, ხომ
გაუქრო სინსილა?

მაგრამ აი საკვირველება! ბუზების გაქ-
რობისთანავე სახლიდან ობობებიც გაქრნენ.
სად, როდის გაიკრიფნენ ასე ერთპირად,
ირინემ ვერ გაიგო. მათი გაუჩინარება თავ-
დაპირველად ვერც შეამჩნია, ამას მხოლოდ
მაშინ მიხვდა, როცა ერთ დღისა და გულმა
აღარ მოუთმინა, ისევ აიღო ცოცხი ხელში,
ისევ ძველებურად ჩამოუარა ჭერ-კედლებს,
მაგრამ ვეღარც სადმე ობობა ნახა და ვერც
აბლაბუდები.

ირინეს გაცოცხას სახლვარი არ ჰქონდა.
მანამდე რანირად არ ეცადა მათს მოსპობას,
მაგრამ ვერაფერს გახდა. და ახლა რაღა მოხ-

და? სად გადაშენდნენ დედაბუდიანად?
თვითონ რომ ვერაფერს მიხვდა ირინე,
ისევ დიდედას ჰკითხა.

დიდედამ წიგნიდან თავი ნელა ასწია, სა-
თვალე მოიხსნა და ირინეს შეხედა. ახლაც
საეჭვოდ უღიმოდა თვალები.

— მაშ, გაქრნენ, პა? გადაშენდნენ?

— კი.
— ჰოდა, ძალიანაც კარგი. შენც ხომ ეგ
გინდოდა? ბუზებიც ეგრევე პირნმინდად არ
მოსპე?

— საქმეც ეგ არის, რომ მე ბუზები გავრე-
კე და არა ობობები.

— ეტყობა ისინიც ბუზებს გაჰყვნენ. რაკი
სახლში ბუზი გაქრა, აღარც ობობებმა ინ-
დომეს აქ ყოფნა და ნავიდნენ.

— ეგ არ მიკვირს, დიდედა, რატომ ახლა
წავიდნენ და არა მაშინ, როცა ვერეკებოდი?
რა მიზეზია?

დიდედამ ისევ ორჭოფულად უპასუხა: —
აბა, რა გითხრა, შვილო, ბუნებაში ბევრი რამ
არის ისეთი, რასაც უცბად ვერ ამოხსნი. ეგ
კია, რომ შემთხვევით არაფერი ხდება, ყვე-
ლაფერს, ყველა მოვლენას თავისი წესი და
კანონზომიერება აქვს. დაფიქრდი, დააკვირ-
დი, იქნებ მიხვდე, გამოიცილო?

ირინე მართლაც დაფიქრდა და ბევრიც
იფიქრა, დღესაც ფიქრობს, მაგრამ ობობე-
ბის ამ უცნაურ საქციელს ვერც თავი გაუგო,
ვერც ბოლო. იქნებ თქვენ დაეხმაროთ და
აუხსნათ, რატომ გაქრნენ სახლიდან ობობე-
ბი მას შემდეგ, რაც ბუზები გადაშენდნენ?

დავით აღმაშენებელი



მიორგი ქართველი
100

სიციხო ზამარალიძე

მუდამ ჩემო სანატრელო,
საუფარელო ბები!
დაგკოცნი და დამიკოცნე
ეველა ნაცნობები!
ბები, ჩემო ტუბილო ბები!
აგრემც გენაცვლები!
მე ცალკე გამომიგზავნე
თეთრი ჩურჩხლები!
სხვა ხილიც არ დაივიწყო:
კომში, ვაშლი, მსხლები;
ჩამიჩი და ლუღვის ჩირი,
თხილი და კაკლები!
ბები! დედან გეუციცები
მუდამ მუგვარები!
ოქროს სათვალეს გიუიდი,
როცა გავიზრდები!

ავერ უკვე 60 წელზე მეტია, საქართველოში
ბავშვი არ გაზრდილა, რომ ეს ლექსი არ სკოდ-
ნოდა და იმ პატარა ციხლასავით არ დაპირ-

ბოდა თავის ბებიას, როცა გავიზრდები, ოქროს
სათვალეს გიუიდიო.

მეც მპირდება ჩემი ვაგა ოქროს სათვალეს.
და ჩემს ვაგასაც თქვენსავით უყვარს ზოგი ჩემზე
ბევრად უფროსი და მინც დღესაც ყველა ბავ-
შვისათვის საყვარელი ლექსი... მაგალითად.

ჭაუ, ჭაუ, ქორო, ნუ ფრენ
ჩვენს ეზოში დილ-დილასა,
ვერ მომტაცებ, არ გაგატან
ჩემს ჰატარა წიწილასა...

აბა, გაიხსენეთ, ხომ ყველამ იცით მშვენიერი
საგაზაფხულო ლექსი:

გაზაფხულო, გაზაფხულო,
რა კარგი ხარ, რა კარგი:
ევაილებით მორთული,
მზის სხივებით ნაქარგი!

ანდა სამაისო:

დღეს ჰირველი მისია
და ჰირველი გაზაფხული,
წითელ-უვითელ ევაილებით
მორთული და მოკასმული!

ყველა ეს ლექსი ცნობილი ქართველი პოე-
ტის გიორგი ქუჩიშვილის დაწერილია. სინამდ-
ვილეში გიორგი ქუჩიშვილის გვარი ჩნებივ
იყო, ქუჩიშვილი კი მან თვითონ დაირქვა. ახ-
ლადვე გაიბობოთ, რატომ.

გიორგი და მისი ძმები ობლობასა და სილა-
ტაკეში გაიზარდნენ სულ პატარა იყო გიორგი,
რომ დედამ სოფლიდან თბილისში გააყოლა ნა-
თესავს. დაპირდნენ, ვასწავლით, კაცად გამო-
ვიყვანთო, მაგრამ ამის ნაცვლად ხელზე მოსამ-
სახურე ბიჭად გაიხადეს - რვა წლის ბავშვს ია-
ტაკს ახეზინებდნენ, წყალს აზიღვინებდნენ, ქურ-
ჭელს არეცხინებდნენ, და, თუ რამე არ მოეწო-
ნებოდათ, ცემა-ტყეპასაც არ აკლებდნენ. დედამ
ეს რომ გაიგო, „კეთილისმყოფელებს“ მოაშო-
რა, მერე კი, შვილები უსწავლელი რომ არ
დაიჩინოდა, თბილისში გადასახლდა, ოთახი
დაიქირავე, ბიჭები სკოლებში მიიბარა, თვითონ
კი ვის სარეცხს ურეცხავდა, ვის საბნებს უკე-
რავდა, რომ შვილებისათვის ლუკმა გაეჩინა.

სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც გიორგი

დალიოდა, სწავლება რუსულ ენაზე იყო; სოფელში ვაზრდილ ბიჭს რუსულად სწავლა გაუჭირდა, სკოლას თავი მიანება და „ფეგიერ-მოჯამაგირებმა დაიწყო. ვისთან არ იღვა—მეწვერილმანესთან, ბაყალითან, მენახშირესთან, მენავთესთან, ზენიკალთან, ოკრომჭედელთან... დღეში 12—15 საათს ამუშავებდნენ და „ფეგიერდნად“ (ხელფასად) კი გროშებს აძლევდნენ. ამიტომ დიდხანს ვერსად ძლებდა. უკვე 16—17 წლისა ბოტანიკურ ბაღში არსებულ საბაღოსნო სკოლაში შევიდა. აქ რევოლუციონერებს დაუკავშირდა და მათი დავალებით არალეგალური ლიტერატურის გავრცელება დაიწყო...

ერთხელ, ბაღის მუშების გაფიცვაში მონაწილეობისათვის, დააპატიმრეს კიდევც. სკოლა რომ დაამთავრა, ერთხანს სოფელში იმუშავა, აქაც გლეხებს აკრძალულ წიგნებს უკითხავდა და მალე, როგორც „საექვო პიროვნება“, უმუშევარი დარჩა.

შემდეგ გიორგიმ რედაქციაში დაიწყო მუშაობა ჯერ დარაჯი იყო, მერე ვახუშტების დამტარებელი, ბოლოს — კორექტორი... ხშირად მონაწილეობდა სალიტერატურო სადამოებში, რომლებიც მუშათა რაიონებში იმართებოდა. თავის მგზნებარე რევოლუციურ ლექსებს ის თბილისის ეზოებსა და ქუჩებშიც კითხულობდა; ცნობილ მოხეტიალე მუსიკოსთან, ილიკო ქურხულთან ერთად კარდაკარ დალიოდა და ილიკო რომ ვიოლინოს უკრავდა, ის თავისუფლების წყურვილით გამსჭვალული ლექსებით მშრომელ ადამიანებს მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღანთებდა.

კმარა! აივსო ფიალა
ზღვა-ცრემლებით და თმენით!
ბრძოლით ვუწამლოთ იარას,
ჩვენსკენ — ვინც არის ჩვენი!

აი ასე გაიარა გიორგი ჩხეიძის ყრმობისა და ახალგაზრდობის წლებმა. ჯერ იყო და, ქუჩა-ქუჩა დახეტებოდა და საბუშაოს ეძებდა, მერე ბრძოლის ქინით ანთებულ ლექსებს კითხულობდა ეზოებსა და ქუჩებში.

აღბათ ვასაგებია, რატომ დაირქვა მან ქუჩიშვილი.

მერე კი, როცა საქართველოში უკეთესი დღეები დადგა, საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთმა ჩინებულმა მომღერალმა დაიტოვა ფსევდონიმი ქუჩიშვილი, რომ არც თვითონ დავიწყებდა თავის მრავალჭირგამოვლილი წაჩხვლი ცხოვრება, და შეიღობის, შეიღობილენის და შთამომავლობისთვისაც დაეტოვებინა მუშავე სლოვან იმისა, თუ რა მიმივა ქუჩის (შეიღობის) და რა ბედნიერებაა, როცა ბავშვს უდარდელი ბავშვობა აქვს, ახალგაზრდას — ხალისიანი ახალგაზრდობა, მოხუცს — ნათელი, „ოკროსისათვლიანი“ სიბერე.

ბაქო-ბათუმი

ორთქლმავალი
მოჭქრის,
სტეგენს,
თან ცინტენებს
მოაფრენს!
მოცვეკავს და
რეკავს ჰანგს,
ჩანგად სმარობს
ლიანდაგს!
— ტიკ-ტა-ტაკ!
დაგ-და-დაგ!
ვშრომობ,
ვომობ
ნიადაგ!
საბჭოების
ქალაქებს
ნავით
მე ვამარბებ!
— ტიკ-ტა-ტაკ!
დაგ-და-დაგ!
ჟანგს ან ვაჭმევ
ლიანდაგს!
მემანქანევე
წინ, წინ,
წინ!
ჰა, ბათუმიც! —
უშუშ!
ძინ, ძინ!





თუთიყუშ ჟაკოს თავბაღასაკალი

მამუკა სალუქაძე

მხატვარი სოფიო კინფურაშვილი

1915. 1916

შუა ზაფხულის ცხელი ქარებით
გაბრუებული და მინაბული
მარმარილოს ზღვის ნარნარ სარკეში
ლივლივებდა და თვლემდა სტამბული.
ჟაკოს ხიბლავდა და აოცებდა
აია სოფიას დიდი ტაძარი,
სულთან ახმედის ძველი მეჩეთი
და თვით ბაზარი უზარმაზარი.
ბაზარი ჭრელი, ნიორფერადი;
გასაოცარი ყალბით ნახატი,
სადაც, სულ ცოტა, ათასი ჯურის
და ყველა რჯულის მოკვდავს ნახავდით —
მეტწილად თურქებს, ბერძნებს, არაბებს,
ლაზებს, ჩერქეზებს, სომხებს და ქურთებს;
მექარავნებს, ბაშიბუზუკებს,¹
და ბედუინებს² — ცხენების ქურდებს.
ჟაკომ სწორედ აქ, ბაზარზე ნახა
ვინმე ლაზარე, მოხუცი ლაზი.
მას გასაყიდად ჩამოეტანა
ნორჩი ნერგები ქართული ვაზის.
მოსუცმა მთელი კვირა იარა
მუშტრის ძებნაში, აღმა და დაღმა,
მაგრამ მსურველი ვერავინ ნახა,
ამასობაში ნერგებიც გახმა;
ძლიერ შეწუნდა, თურმე თვალღებზე
ცრემლი მოადგა გასსულლ ვაზივით
და ყოველივე ამის შემყურე
ჟაკოც ატირდა ლამის ლაზივით.
და ასე უთხრა: კეთილო ვაცო,
მთელი კვირაა მე თვალს გადავწეებ,
აღმათ ძალიან გჭირდება ფული,
რადგან ბაზარში აღამა-ათენებ.
ვაზში ყურუშსაც არავინ მოგცემს,
მე კი გამყიდი საკმაოდ ძვირად,

არ მოგატყუებ, ყველაზე ცოტა —
თხუთმეტი ათას აქაურ ლირად.³
თავდაპირველად კი ითაკილა,
მაგრამ მუშტარი გამოჩნდა ამ დროს
და ლაზარემაც მიიყიდა ჩიტი
ბორის ბოცმანოვს, ოდესელ მატროსს.
ჟაკო ნამდვილად გრძნეული იყო,
ტყუილად არ ღირდა ასი თუმანი;
რადგან ხიფათის მოახლოება
მართლაც დროულად იგრძნო გუმანით.
და უთხრა პატრონს: — უნდა
გავერთხილდეთ,
საერთეს გვიმზადებს ბედი ტიალი,
გული მიგრძნობს, რომ სტამბულში მალე
ატყდება დიდი ორომტრიალი.
მეორე დილით, ტრაპიზონიდან
ოდესისაკენ გემით გასწიეს
და განსაცდელსაც, ჩიტის წყალობით,
თავი მართლაც რომ ძლივს დააღწიეს,
რადგან იმ ღამით თურმე თურქეთში
ატყდა სასტიკი სოცვა და ყლელბა
და ბოცმანოვი მაშინ დარწმუნდა,
რომ თითოყუში იყიდა ბედად.
და გულთმისნობის სამაგიეროდ,
სამშვიდობოზე გავიდნენ როცა,
ჟაკოს უბოძა თავისუფლება,
გადაკოცნა და გზაც დაულოცა.
და გალიიდან გამოფრენილმა
შეინავარდა ცაში როდესაც,
სიხარულისგან აღმოხდა კვნესა:
„ადესა-მამა — დედა-ოდესა“.
აქ, ოდესაში, თუ რა ხდებოდა
ჩიტმა კარგა ხანს ვერ გაარკვია.
სუფევედა დიდი უნესრიგობა,

სრული ქაოსი და ანარქია.⁴

— რალაც მოხდება, — კვლავ უგრძნო
გულმა,

ნეტ სამნენია,⁵ რალაც მოხდება,
თვითმპყრობელობას ველარ გაუძლებს
ხალხი, აღდგება და ამბოხდება.

ინტუიციამ არ უღალატა,
არ გაუცრუვდა მართლაც იმედი,
რადგანაც კარზე იყო მომდგარი
დიადი ათასცხრაას ჩვიდმეტი.

1. ბაზიზუზუკი (თურქ.) — თავაყვეტილი, ყაზიბრენული
ავაზაკი. ყაზიბრენული
ზიზიზიზი

2. ბელუნი — მომთაბარე არაბი.

3. ყურუში და ლირა — ფულის ერთეულები თურ-
ქეთში.

4. ქაოსი და ანარქია — უწესრიგობა, არეულობა.

5. ნეტ სამნენია — (რუს.) ექვსგარეშეა.



მეოცნებე კუ

მარინა ხუციშვილი

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეს ამბავი დაახლოებით ასი წლის წინათ მოხდა, როცა კუ 199 წლისა იყო. ძალიან უხედბოდა ყვეთელი ქუდი, მისეირნობდა თავისთვის და ოცნებობდა: — ნეტავი ფრენა შემძლოს ან ქოლგა მინც მქონდეს, მაღალ მთაზე ავიდოდი, გავშლიდი ქოლგას და გავფრინდებოდი შორს, შორს, ფრინველებს გავიცნობდი, ისინი გალობას მასწავლიდნენ და ვიმღერებდი და ვიმღერებდიო.

მისეირნობდა ასე არხვინად და სულაც არ ჩქარობდა, ჯერ ხომ მთლად ახალგაზრდა იყო, მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა.

უცბად ერთ მომცრო მდინარეს მიაღდა და ის იყო, მოწყურებული წყალს უნდა დასწავებოდა, რომ შოი, საოცრება! დაინახა, რომ დინებას გადმობრუნებული ქოლგა მოჰქონდა, შიგ კი ბელურებს ერთი ყვილ-ხივილი ჰქონდათ გამართული. თურმე ნუ იტყვით, ბელურების ქორწილი იყო, კუ ამას მაშინლა მიხვდა, როცა ქოლგის შუაგულში ყაყაჩოების, ლილილოების და კიდევ ათასნაირი ჭრელაჭრულა მინდვრის ყვაილებისაგან ლამაზად დანულ ტახტრევანზე კოხტად ჩამოსკუპებულ ნეფე-დედოფალს მოჰკრა თვალი. ისე მორცხვად ისხდნენ, ისეთი ლამაზები და მოხდენილები იყვნენ, რომ თვალს უკეთესი არაფერი დაენახებოდა.

კუს სულ გადააიწყდა წელანდელი ოცნება, ახლა ის ინატრა, ნეტავი სიმღერა ვიცოდა, ერთს ისეთს შემოვძახებდი, მეც შემამჩნევდნენ, და უჰ, რას ვიქეფებდიო!

ბელურებმა მართლაც დაინახეს კუ, და ერთი ნიოკობა ატეხეს, კაკლის უზარმაზარ ნაჭუჭს დაავლეს ნისკარტი, მაცვლის წვენით აავსეს, კუსთან მიფრინდნენ და სთხოვეს, ნეფე-დედოფალი გვიდღეგრძელო. აბა ამაზე უარის თქმა როგორ შეიძლებოდა, და კუმაც დალოცა ახალგაზრდები, სასმისი ბოლომდე დაცალა, გამხიარულდა და ლამის სიმღერა წამოიწყა. მაყრიონი კი ნეფე-დედოფლითურთ დინებას გაუყვა.

კუს ისე მოუნდა მათთან ყოფნა, რომ მდინარეში შეტეპა და ცურვით გამოედევნა. მდინარეს გაეცინა, მაგრამ გულკეთილი იყო, ღიმილითა და ტალღების ტლამუნით დაეხმარა, იოლად აიტაცა და მაყრიონს გააყოლა.

კუს აკაციის ფოთოლი აედევნა, საით მიცურავო, — უკითხა. ქორწილში ვარ დაბატივებული და თუ გინდა, შენც თან წაგიყვანო, — მიუგო გათამამებულმა კუმ. თურმე ფოთოლიც კარგი უსამშური იყო, არც კი უკითხავს, უხერხული ხომ არ იქნება, იქ ხომ არავინ მიცნობსო.

ერთ ადგილას მდინარე ტყისაკენ უხვევდა, ბელურები უცებ აიშალნენ, ხმაურით შეესივნენ ხეებს და გაუჩინარდნენ.



კუ და ფოთოლი კი დარჩნენ პირლიად; ძალიან დაწყდათ გული, მაგრამ რალას იზამდნენ, ხეზე კუ ვერ აფრინდებოდა, ფოთოლიც დასველდა და დამძიმდა, არც ნიაჟი ქროდა, რომ მალა აეტყცნა, ჰოდა, გაიზიარა კუს ხვედრი.

დალილ კუს თვლებმა მიერია, წყალზე ატივტივდა, ფოთოლიც განუყრელი მეგობარით თვალზეზე გადაიფარა და ძილს მიენდო, იქნებ სიზმრად მაინც ვნახო ქორნილი და მოვილხინო.

...თურმე იმ ადგილას მდინარეში მორევი ყოფილიყო და წყალს ქოლგა შორს ვეღარ ნაელო, იქვე ატრიალებდა. და აი სწორედ იმ დროს, როცა კუს ესიზმრებოდა, რომ ჩიტბებთან ერთად დაფრინავდა, ქოლგა გამოედო და ძილი დაუფრთხო. კუ ფეთიანივით წამოვარდა, თავს აქეთ-იქით სასაცილოდ ატრიალებდა. ფოთოლი კი წელა ჩამოსრიალდა მისი თვალებიდან და ნებიერი ძილი გააგრძელა.

მაგრამ აი, კუმ ქოლგა დაინახა და სიხარულისაგან მთლად გამოფხიზლდა. ახლა სულ ადვილად შეეძლო თავისი ოცნება აესრულებინა. სასწრაფოდ შემოიგდო ქოლგა ბაკანზე, ნაპირზე აბობლდა და მთისაკენ გასწია. იარა, იარა, და ერთ პატარა გორაკზე ავიდა, თუმცა თვითონ ეგონა, ძალიან მალაღლი მთის მწვერვალზე ავიდოდა. ახლა კი ჩემს მიზანთან ახლოს ვარო, — გაიფიქრა, და სიხარულისაგან გული გადაუქანდა, მერე ქოლგა გაშალა და დიდი მონდომებით ისკუშა.


ამასობაში ფოთოლსაც გაეღვიძა, შეეშინდა, ვაი თუ კუ უჩემოდ გაიპარა ქორნილი, ნიავეს აპყვა და ახლადშეძენილ მეგობარს გაედევნა.

კუმ ცოტა კი იფრინა, მაგრამ ძალიან მძიმე იყო, ქოლგა ამოუტრიალდა და ის იყო დაბლა ზღართან უნდა მოედინა, რომ უცებ ერთი სმაური და გნისი ატყდა. ჩიტებს დაენახათ, რა დღეშიც იყო ჩავარდნილი კუ, და მის დასახმარებლად გამონთებულებიყვნენ. პატარები და სუსტები კი იყვნენ, მაგრამ ხომ გააგვირინათ, ძალა ერთობაშიაო, ყველა ერთად ჩაეჭიდა ნისკარტით ქოლგას და კუ მშვიდობით დაუშვეს მინახე.

აფარფალებულმა ფოთოლმა ასეთ საცოდავ დღეში მყოფი კუ რომ დაინახა, გაეცინა და ნიშნისმოგებით მიაძახა: — „კუმ ფეხი გამოყო, მცვ ნახირ-ნახირო“, და ნიავეს სულ სხვა მიმართულებით გაუყვია. მან სულაც არ იცოდა, რომ მეგობარს მხოლოდ ლხინში კი არ უნდა აპყვე, გაჭირვებაშიც უნდა დაეხმარო.



ასე დასრულდა ჩვენი ზღაპარი. და მე იმას ვფიქრობ, მხიარული ბელურების მეგობრობა და გულკეთილობა რომ არა, ხომ დაილუპებოდა ჩვენი უსაქმოდ მოხეტიალე და მე-ოცნებე კუ, ხომ ვერ შემხვებდებოდა ასი წლის შემდეგ და ხომ ვერ მომიყვებოდა ამ ამბავს?



მანქანური ენები

უზანა სახლთსუბიფილი

მხატვარი მელარდ ამოკაპი

წინა საუბრიდან თქვენ უკვე გაიგეთ, რომ ნებისმიერი ამოცანისათვის შეიძლება შედგეს პროგრამა, რომლის მიხედვითაც მანქანას შესაძლებლობა ექნება ამოხსნას ეს ამოცანა. მაგრამ მანქანას ჩვენს ენაზე, ესე იგი ადამიანების ენაზე შედგენილ პროგრამას ვერ მივანვლით. იგი ვერ გაიგებს პროგრამას, რომელიც, ვთქვათ, ქართულ ენაზე იქნება დანერგილი — წერისას ან ლაპარაკისას ჩვენ ხომ ვიყენებთ უამრავ არაზუსტ ან ზედმეტ წინადადებას, ფრაზას, სიტყვას, ბგერას, რომლებიც მანქანას არაფერში არ სჭირდება, პირიქით, აბნევეს მას, გაუგებარს ხდის მისთვის ჩვენს სურვილს. ადამიანსა

და მანქანას შორის ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო გახდა მანქანური ენების შექმნა. მანქანურ ენებში სრულიად გარკვეული სიტყვები და ფრაზებია გამოყენებული ამა თუ იმ ბრძანების გასააზრებლად. ერთი ფრაზა მხოლოდ ერთ ოპერაციას ნიშნავს. მანქანურ ენებში გამოყენებულია აგრეთვე ასო-სიმბოლოები, არითმეტიკული ოპერაციების ნიშნები, ციფრები და სხვა. ამჟამად მსოფლიოში მრავალი მანქანური ენა არსებობს: ალგოლი, ალფა, აპლ, კობოლი, ფორტრანი, ასემბლერი და სხვა, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ბუნებრივი ენაა. ამა თუ იმ მანქანურ ენაზე დანერგილი

პროგრამა შემდეგ მანქანას უნდა მიაწოდონ, მანქანაში უნდა შეიტანონ. ამისათვის იყენებენ პერფორატორებს — მუყაოს ფურცელზე დაბეჭდილი ციფრების სისტემას. ციფრები დანერგულია 12 სტრიქონად და ყოველი ციფრი მანქანაში ენის რომელიმე სიმბოლოს შეესაბამება. ერთ ბარათზე ერთი ან რამდენიმე ბრძანება შეიძლება დაიბეჭდოს. დაბეჭდავი ციფრების ადგილას ბარათის დახვრეტას შეკვია. პერფორაცია ნიშნავს გახვრეტას.

მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა-ბრძანება END, რაც ფორტრანის ენაზე ნიშნავს დასასრულს. ამ სიტყვის პერფორატორზე გადასატანად ბარათი პერფორატორში უნდა ჩავდეთ და მოვძებნოთ ჯერ E-ს შესაბამისი ლილაკი. ლილაკზე თითის დაჭერით ბარათი გაიხვრიტება ორ ადგილას — 12 და, 5, ე. ი. ამ შემთხვევაში ერთ სიმბოლოს ორი ციფრი შეესაბამება (საერთოდ ერთ სიმბოლოს ერთი ან რამდენიმე ციფრი შეესაბამება); შემდეგ N-ის შესაბამის ლილაკს ვაჭერთ თითს. გაიხვრიტება 11 და 5. შემდეგ — D-ს ლილაკს, გაიხვრიტება 12 და 4. ეს პროცესი ნახევრად ავტომატიზებულია.

გამზადებულ პერფორატორებს, რომლებზეც მთელი პროგრამაა წარმოდგენილი, აწვდიან მანქანის წამკითხველ მონყობილობას. მანქანა „წაიკითხავს“ ბარათს და მოქმედება ახლა გამომთვლელ მონყობილობაში გრძელდება. ამოცანის პასუხს გამოსასვლელზე ვღებულობთ.

რა თქმა უნდა, ამოცანის გადანყვება უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ ადამიანსა და მანქანას შორის უშუალო დიალოგი გაიმართება. მაშინ აღარ დაგვჭირდება პერფორატორები, პერფორატორი, წამკითხველი მონყობილობა, ნვალება პროგრამის შედგენაზე, მერე მის მომზადებაზე მანქანაში შესაცვანად.

ამ მხრივ დიდი მუშაობა მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ კვლევით დაწესებულებაში და წარმატებებიც არის მიღწეული. ისე რომ, მომავლის გამომთვლელი მანქანები პირდაპირ ადამიანის ხმას მოუსმენენ და პასუხსაც ხშირვე გასცემენ. ესე იგი შედეგია წამდელი დიალოგი.

გარდა პერფორატორებისა, მანქანაში ამოცანების შესაცვანად იყენებენ პერფოფორებს, მაგნიტურ ფირებს, დისკების და სხვა.

თანამედროვე გამომთვლელი მანქანებისათვის ამოცანის მიწოდების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა დისკული. დისკული

არის ჩვეულებრივი საბეჭდი მანქანის კლავიატურით — ასოებით, ციფრებით, სსსვენი ნიშნებით, სპეციალური სიმბოლოებით აღჭურვილი ტელეეკრანი. ოპერატორი კლავიატურაზე კრეფს სასურველ ბრძანებას, და დისკულის ეკრანზე შესაბამისი სიმბოლოები იწერება: შემდეგ, სათანადო ლილაკზე თითის დაჭერით, ბრძანება შეიძლება მანქანის მეხსიერებაში გადაინეროს, ხოლო თუ ბრძანების აკრეფისას შეცდომა იყო დაშვებული, გაუქმდეს იგი, ხელახლა აიკრიფოს ანდა მთლიანად შეცვალოს.

ამოცანის პასუხის გამოტანა ქალღმერთისევე დისკულის საშუალებით ხდება. არსებობს გრაფიკული დისკული, რომლის ეკრანზე გეომეტრიული ნახაზები გამოაქვთ.

გამომთვლელი მანქანა დღევანდელი ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროშია შეჭრილი.



პიპი მღვანის მიერ

ვარძია


ერთხელ თურმე, — გვაუწყებს ქართული ლეგენდა, — ვარძიის მიდამოებში სანადიროდ წასულმა მეფე გიორგი III-მ თან პატარა თამარი წაიყვანა. როცა მეფე და მისი ამაღალი იხვეწებდნენ, თამარი თამაშით გართულა და დაკარგულა. ატყდა თურმე განგაში, დაუწყეს ძებნა. ბოლოს მეფის ერთ-ერთმა მსლებელმა გამოქვაბულიდან მისი სმა გაიგონა: „აქა ვარ, ძიო“. ამის შემდეგ ამ ადგილს „ვარძია“ დაარქვესო.

ვარძია ისტორიულ მესხეთში მდებარეობს, რეასი წლის წინათ გამოკვეთეს იგი კლდეში ჩვენმა წინაპრებმა.

ეს გამოქვაბულთა ცამეტსართულიანი ან-სამბლი მტკვრის ხეობაში, დინების განსწვრივ არის გადაჭიმული. კლდეში გამოკვეთილია ერთ, ორ და სამოთხიანი საცხოვრებლები, კლდეშივეა ნაკვეთი სანალი ნიშები, ჭურჭლის თაროები, მაგიდები და საჯდომი მერხები. საცხოვრებლები ერთმანეთთან დაკავშირებულია კიბეებით და გვირაბებით. საინტერესოა ვარძიის ეკლესია, მისი მშენებელი ფრესკები, მათ შორის თამარ მეფისა და მამიასის — გიორგი III-ის გამოსახულებები. ეკლესიის მახლობლად წყაროს წყალია გამოყვანილი.

დიდა ვარძიის — ამ ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლის ისტორიული მნიშვნელობაც. იგი დიდ როლს თამაშობდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. იყო ერთ-ერთი მოწინავე კულტურული ცენტრი, აგრეთვე, როგორც გამაგრებული მოწინააღმდეგე, — საშიშროების დროს ქართველი მოსახლეობის საიმედო თავშესაფარი. ვარძიასთან ქართული ლაშქრის მრავალი გამარჯვება დაკავშირებული. მაგალითად, 1203 წელს აქ შეიკრიბა სრულიად საქართველოს ლაშქარი, რომელიც თამარმა ბასიანში მტერთან საბრძოლველად გააცილა.

დრომ ბევრი განსაცდელი დაატეხა თავს ვარძიას. მას არ დაჰკლებია არც მიწისძვრა და არც მტერთა შემოსევა. მაგრამ ვარძია დღესაც ქართული მიწის მშვენიერება და თავისი სიდიადით ისევ აღაფრთოვანებს მნახველებს.



კალკად ყოფნა ინატრა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მებატონე. ერთხელ ის თავისი მოჯამაგირეებითურთ მინდორში წავიდა თივის ზვინების შესაკვრელად და შვილიც თან გაიყოლია. ყველანი შეუსვენებლივ მუშაობდნენ. მართო ბატონის ძალი ნებიერობდა შორიხლოს, ჩრდილში, ბურქის ძირას. ეს რომ ბატონის ვაჟმა დაინახა, შეშურდა და მწარედ ამოიხორცა:

— ემ, ნეტავი ძალლად მაქციაო!

თუ მაგას მართლა ამბობ, შვილო, — უთხრა მამამ, — შენ იცი, მიუწევი ძალს გვერდით, თანახმა ვარ.

ბიჭიც იმ წამს წამოწეა. ვიდრე სხვები მუშაობდნენ, ეძინა, და ფიქრადაც არ მოსვლია შეშველებოდა.

სადილობის დროც მოახლოვდა. ყველა გაშლილ სუფრას მიუხსნდა, მაგრამ ბატონის ვაჟი არ მიუპატიჟებიათ. ძალღვივთ მასაც მხოლოდ ძვალი და პურის ქერქი მიუტანეს.

ვაჟს არ შიოდა და დიდად არც სწყენია, ასე რომ მოექცნენ. სადილის მერე ისევ ბურქის ძირას წამოკოტრილდა და სამხრობამდე ინებიერა. სამხრობისას მკვირცხლად წამოხტა, იქნებ მეც მიწილადონ რამეო.

— ნუ ჩქარობ, შენი რიგიც მოვა, შვილო.



ჯერ ძალს მისცემენ ნასუფრალს და მერე შენც პატიოსნად შეგახვედრებენ, რაც გეკუთვნისო, — და კვლავინდებურად პურის ყუა მიუტანეს.

შესალამოვდა. ბატონის შვილს შიმშილსაგან თვალთ უზნელდებოდა. ველარ მობთმინა და მამას უთხრა: — მამაჩემო, მომბეზრდა ძალღვივთ ყოფნა, არც აღარასოდეს ვინატრებ ძალლად გადაქცევას, ეტყობა, მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, ძალს ძალის საქმე უნდა ებაროსო.

— ახლა ხომ დარწმუნდი, შვილო, რომ ადამიანი ადამიანად უნდა დარჩეს, ძალლი კი ძალლად?

ამ საუბრის მერე ბატონიშვილმა დაავლო ხელი ორკაპს, შეერია მომუშავეებს და ამის მეტად აღარ უნატრია ძალლის ბედი.

უნგრულიდან თარგმნა
პანო იმპარლიშვილმა

1928



ფნიკადალა

მახანა გორბანელი

დელი-დელა,
დელი-დელა,
არ ისვენებს
ჩხირკედელა.
როგორც იყო,
გაჭირვებით
მოტორს მოხსნა
ჭანჭიკები.
ბიჭია და,
უნდა ნახოს,
რა ხმაურობს,
შე ვინ სახლობს.
რომ იჯერა
მებნით გული,
ახლა წასვლის
აშევა სურვილს.
მაგრამ რითი?

წუსს და დარდობს—
დაშლილია
მისი ავტო.
გაბრაზებით
მიდის-მოდის,
მიუჯდება
საჭეს როდის.
სად რა იყო,
ვერ ცნობს ნაწილს,
აღარ იცის,
რა ქნას აწი!
ეს ოხერი,
გზა აქვს გრძელი
ვენახამდე
გასაფლელი.
დელი-დელა,
დელი-დელა,
ვერ ისვენებს
ჩხირკედელა.

მხატვარი ლალი ლომთაძე





სცადეთ, იქნებ ღვამტკიცოთ!

აიღეთ ერთმანეთის მომდევნო ათი ნატურალური, ანუ შთელი რიცხვი, მაგალითად, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, და შეკრიბეთ. რა მიიღეთ? 55? სწორია! ახლა სხვა რიცხვები აიღეთ, ვთქვათ, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, და ისინიც შეკრიბეთ. მიიღებთ 285-ს. კიდევ რომელღიმე ათი ურთიერთმომდევნო რიცხვი აირჩიეთ. მაგალითად, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109. მათი ჯამი 1045-ს უდრის. დააკვირდით, თქვენს მიღებულ პასუხებს ერთი კანონზომიერება აერთიანებს — შეკრების შედეგად თქვენ სამჯერევე ცენტრი რიცხვი მიიღეთ. სცადეთ, იქნებ დაამტკიცოთ, რომ ეს უოველთვის ასეა, რომ ერთმანეთის მომდევნო ნებისმიერი ათი შთელი რიცხვის ჯამი კენტია! ცოტას ზეწევ წამოგეშეულებით. გაისხენით, რომ იური ერთიმეორის მგზობელი მივლი რიცხვიდან ერთი მუდამ კენტია. მეორე კი — ლუწი. ახლა ფიქრი განაგრძეთ...

პასუხი „დილა“ № 9-ში დაგაჟღილ ამოცანაზე

სულ ბიჭებმა იპოვეს 12 კაკალი, გიამ — 5, თამაზმა — 7.

თამაზს რომ ერთი კაკალი გიამთვის მიეცა, ორივეს 6-6 ექნებოდათ. ხოლო, როცა გიამ მისცა თამაზს ერთი კაკალი, თვითონ ოთხი ცალი დარჩა; თამაზმა კი თავის 7 კაკალს ერთიც მიუმატა, რვა კაკალი ორად გაყო და ნუგზარსაც 4 მისცა, თვითონაც 4 დაიტოვა.



საქართველოს ალექ ცკ-ისა და ვ. თ. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურცალი უმცროს-კლასელთათვის.

გამოცემის 1988 წლიდან.
საქ. კვ ცკ-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი
მეწიარ ნიძარბაძე

სარედაქციო კოლეგია: მდურად ანათაძე, მინან პნთაძე, ლანარა ბაბაია, მირი დამითაშვილი, სოლომონ დამარაბაშვილი, ლილია მარაძე, ვალა ლოსაბერიძე, მავაალა გრავალოვილი, გურბა ნადირაძე, გიორგი რმინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), მინანი ხალაბიძე (პედაგოგი), მირი მინაძე, მირი მინაძე, მირი მინაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

შესამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის-თბილისი, ლენინის, 14. ტელ. შო. რედაქტორის 98-41-80, 98-98-15; პ/შ. მღვიანის 98-10-88, 98-98-18; სსსრ რედაქტორის — 98-98-18; განყოფილებების: 98-98-19; 98-98-17. გადაცემა ასწურობად 12. 09. 88 წ., ხელმოწერილია დასახელებად 12. 10. 88 წ., ქალაქის ზომა 60x90¹/₂, ფი. ნახ. ფურც. 2,5. ტირაჟი 188.000, შეკვეთა 2180.

ულზე ნახტი ნანა
მარალონიძე

«Диლა» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКЖМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Эивер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 2130

ჩხი რკე დელა



წელი მარტივი

ჯონის თოჯინა

აიღეთ საჭირო სიგრძის ჯონი, ცალი ბოლო ბრტყლად გაუთალეთ. თხელი მუყაო ან სქელი ქაღალდი ორჯერ მრგვლად გამოჭერით, ეს თოჯინის თავი იქნება, —სახის მხარე და კეფის მხარე. დაუხატეთ თვალები და ცხვირ-პირი, და ჯონის გაბრტყელებულ ნაწილზე მიაწებეთ. ახლა ნართის მსხვილი ძაფისაგან თმა გააკეთეთ და დაუმარგეთ, შემდეგ ქაღალდისაგან ორმაგი გამოსახულების მკლავები გამოჭერით და ჯონზე დააწებეთ. ქსოვილისაგან გამოჭერით მარტივი თარგის კაბა, ჩაჭერით ხელების გამოსაყოფი ადგილი. კისრის არეში ძაფი მოანაოჭეთ. კაბა შეგიძლიათ დაქარგოთ ან აპლიკაციით მორთოთ.

